მშრომელთა მსოფლიოს, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 264 (10658)

სამშაბათი, 13 ნოემბერი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ბოლო მოეღოს აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ! — „პრავდის“ 12/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).

ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მიღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის დეპეშა საუდის არაბეთის მეფეს საუდ იბნ აბდელ აზიზ ალ-ფეისალ ალ-საუდს (1-ლი გვერდი).

დეპეშების გაცვლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს მარკუს ფელდმანს შორის (1-ლი გვერდი).

„გახსოვდეთ სუნ იატ-სენი“. მაო ძე-დუნის სტატია (1-ლი გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები. — **ივ. მჭედლიშვილი.** — სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონისათვის (მე-2 გვერდი).

კ. ჯოხიძე. — მგზნებარე რევოლუციონერი (მე-2 გვერდი).

გ. გეგეშიძე. — საქალაქო პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა ვაჭრობის — გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში (მე-2 და მე-3 გვერდი).

მოწინავეთა გამოცდილება — მასალებს. — **ა. ნასიბოვი.** მევენახეობის მილიონერი ბრიგადა (მე-3 გვერდი).

ხალხთა ლენინური მეგობრობა — ეროვნულ ფორმაში. — გენიჩესკელთა დელეგაციის ბაკურიანს. დუშელთა დელეგაციის ბაკურიანს. (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ბოლო მოეღოს აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ!

მთელ მსოფლიოში გაისმა ამ დღეებში მრისხანე ხმა საბჭოთა ხალხისა, რომელიც გადაჭრით მოითხოვს შეწყდეს დანაშაულებრივი აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. მთელ ჩვენს ქვეყანაში მოეწყო მიტინგები და დემონსტრაციები თავისი სამშობლოს დასაცავად აღმდგარი ეგვიპტელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად. მილიონობით საბჭოთა ადამიანი, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ერთსულოვნად მოითხოვს ეგვიპტის მიწა-წყლიდან ინგლისელ-ფრანგ-ისრაელ ინტერვენტთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას.

საბჭოთა კავშირი იყო და რჩება ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის თანმიმდევრული მომხრე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანები კოლონიური სახელმწიფოების საერთაშორისო მეკობრეობის პასიური მაყურებლები იქნებიან, როცა ეს სახელმწიფოები ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით დაიმონონ აღმოსავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც დამოუკიდებელი გახდნენ. საბჭოთა ადამიანები ითვალისწინებენ იმას, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა სამხედრო კონფლიქტის გაფართოებას ეგვიპტეში, თუ ჯეროვან პასუხს არ გავცემდით აგრესორებს, რომლებმაც საფრთხე შეუქმნეს მშვიდობის ბედს.

საბჭოთა კავშირის ხალხები სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მტკიცე ღონისძიებებს, რომელთა მიზანია აღიკვეთოს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ალაგმონ აგრესორები, ისინი მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილებს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებისადმი, რომლებითაც მათ სერიოზული გაფრთხილება მიეცათ აგრესიის განგრძობის წინააღმდეგ.

შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ საბჭოთა მთავრობის ენერგიულმა ღონისძიებებმა და საერთო საერთაშორისო საპროტესტო მოძრაობამ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ გავლენა მოახდინა. ამ ქვეყნების მთავრობებმა განაცხადეს, რომ მათ, ბოლოს, უბრძანეს თავიანთ შეიარაღებულ ძალებს შეწყვიტონ ცეცხლი ეგვიპტეში.

მაგრამ ეს ფაქტი, მიუხედავად მთელი მისი დადებითი მნიშვნელობისა, არ აშცირებს მშვიდობისმოყვარე ხალხების შეშფოთებას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის გამო. როგორც ცნობილია, უგუნურმა პოლიტიკამ, რომელიც ნაკარნახევი იყო ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის გარკვეული წრეების ვიწრო ინტერესებით, ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ შექმნა იქ საშიში სიტუაცია, რომელიც იმუქრებოდა მძიმე შედეგებით საყოველთაო მშვიდობისათვის. ახლაც ინგლისელ-ფრანგ-ისრაელ ინტერვენტებს, თუმცა ისინი იძულებული არიან შეაჩერონ საომარი მოქმედება ეგვიპტეში, უარი არ უთქვამთ თავიანთ დამპყრობლურ მიზნებზე, რომელებისთვისაც გააჩაღეს ომი ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ. ინგლის-საფრანგეთის პრესა და ოფიციალური პირები არ მალავენ, რომ ამ სახელმწიფოთა მმართველ წრეებს კვლავ განზრახული აქვთ ძალით მიაღწიონ სუეცის არხის „ინტერნაციონალიზაციას“. ნაკლები გულახდილობით როდი აცხადებენ თავიანთ დამპყრობლურ მიზნებს ეგვიპტის მიმართ ისრაელის ექსტრემისტული წრეები.

მხოლოდ უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანა ეგვიპტის ტერიტორიიდან უზრუნველყოფს ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის და მისი სუვერენიტეტის ხელყოფის შეწყვეტას.

ამავე დროს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ოფიციალური განცხადებიდან ჩანს, რომ ისინი სხვადასხვა საბაბით უარს ამბობენ ამჟამად გაიყვანონ თავიანთი შეიარაღებული ძალები, რომლებიც ეგვიპტეში იმყოფებიან. უფრო მეტიც, უკვე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობათა განცხადებების შემდეგაც ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებულმა ძალებმა სასტიკად დაბომბეს პორტ-საიდი და ახალი დესანტები გადასხეს ამ რაიონში.

ყოველივე ეს ავალებს ხალხებს იყვნენ ფხიზელნი და ყურადღებით ადევნონ თვალი აგრესორთა ხრიკებს. როგორც საკდესის გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში გამოთქვამენ ეშვს — იმ წრეების მიერ სამარი მოქმედების იძულებული შეწყვეტა, რომლებმაც აგრესიული ომი გააჩაღეს ეგვიპტის წინააღმდეგ, ხომ არ არის მხოლოდ მანევრი, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოიგონ დრო, მიიღონ ამოსუნთქვის შესაძლებლობა ძალების უფრო მეტი დაგროვებისათვის იმ ვარაუდით, რომ უფრო მეტი მასშტაბით განაახლონ აგრესიული ომი ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

კოლონიზატორები არ მალავენ, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ გაჩაღებული ავაზაკური ომი მხოლოდ პირველი რგოლია მათ მიერ განზრახულ შეტევაში აღმოსავლეთის ხალხების წინააღმდეგ, რომლებმაც ეროვნულ დამოუკიდებლობას მიაღწიეს. იმპერიალისტებს არა სურთ შეურიგდნენ იმას, რომ კოლონიების ხალხები ადარ არიან მათი მორჩილი იარაღი, ქმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც ახორციელებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას. ეგვიპტის წინააღმდეგ ომი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა თავგანწირული ცდაა ზარბაზნებისა და ბომბების საშუალებით შეაჩერონ კოლონიური სისტემის დაშლა, დაიბრუნონ განთავისუფლების გზაზე დამდგარი აღმოსავლეთის ხალხები, კვლავ დაადგან მათ კოლონიალიზმის უღელი.

ასეთია, მაგალითად, ვარაუდი საფრანგეთის იმპერიალისტური წრეებისა, რომლებიც აგერ უკვე რამდენიმე წელია სისხლისმსმელ კოლონიურ ომს ეწევიან ალჟირის უიარაღო ხალხის წინააღმდეგ, ფარავენ რა თავიანთ დანაშაულობებს საფრანგეთის სოციალისტთა დროშით. საბჭოთა ადამიანები გადაჭრით გმობენ ამ კოლონიურ ომს და დიდად თანაუგრძნობენ ალჟირელ ხალხს, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხებს, რომლებიც ცდილობენ მოიშორონ კოლონიური უღელი. საბჭოთა ხალხი იზიარებს აღმოსავლეთის ხალხთა შიშს იმპერიალისტთა დამპყრობლური მისწრაფების გამო, რომლებმაც გააჩაღეს აგრესია ეგვიპტის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

აზიისა და აფრიკის ყველა ქვეყანაში და უწინარეს ყოვლისა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში იზრდება აღშფოთების მძლავრი ტალღა ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ. მოწოდება „ხელები შორს ეგვიპტისაგან!“ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა გახდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ჩინელი ხალხი მზად არის კონკრეტული მოქმედებით დაეხმაროს ეგვიპტეს მის ბრძოლაში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ. ასეთივე განცხადებები გააკეთეს არაბთა მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებმა. ხალხები ითვალისწინებენ, რომ ახლა საჭიროა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ენერგიული მოქმედება, რათა მიაღწიონ ინტერვენციონისტული ჯარების გაყვანას ეგვიპტიდან, თავიდან აიცილონ აგრესიის განახლება ეგვიპტის სახელმწიფოს წინააღმდეგ და ომის გავრცელება სხვა რაიონებში.

საბჭოთა კავშირმა უკვე განაცხადა, რომ სავსებით უჭერს მხარს ეგვიპტეს და მზად არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად გამოიყენოს ძალა აგრესორთა ასალაგმავად. ეგვიპტელი ხალხისა და აღმოსავლეთის სხვა ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, საბჭოთა ადამიანების მხურვალე სიმპათიის მკაფიო გამოხატულებაა საბჭოთა მოქალაქეების მრავალი განცხადება, რომელთა შორის არიან ამჟამად თადარიგში მყოფი დიდძალი მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, აგრეთვე დიდი სამამულო ომის მონაწილე ოფიცრები, რომლებიც თხოულობენ ნებართვას წავიდნენ ეგვიპტეში მოხალისეებად, რათა ეგვიპტელ ხალხთან ერთად იბრძოლონ აგრესორთა განდევნისათვის ეგვიპტის მიწა-წყლიდან.

ამასთან დაკავშირებით, როგორც საკდესის განცხადებაშია ნათქვამი, სსრ კავშირის ხელმძღვანელ წრეებში განაცხადეს, რომ თუ ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ მთელ თავიანთ ჯარებს არ გაიყვანენ ეგვიპტის ტერიტორიიდან და სხვადასხვა საბაბით გააჭიანურებენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას და ეცდებიან დაგროვონ ძალები, შექმნიან რა ეგვიპტის წინააღმდეგ ხაომარი მოქმედების განახლების საფრთხეს, მაშინ საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანოები ხელს არ შეუშლიან საბჭოთა მოქალაქეების — მოხალისეების გამგზავრებას, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ ეგვიპტელი ხალხის ბრძოლაში მისი დამოუკიდებლობისათვის.

იმაღლებენ რა ხმას თავისუფლებისმოყვარე ეგვიპტელი ხალხის დასაცავად, საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ ბოლო მოეღოს აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აცხადებს: ინტერვენციონისტული ჯარების არც ერთი ჯარისკაცი არ უნდა დარჩეს ეგვიპტის მიწა-წყალზე!

„პრავდის“ 12-XI მოწინავე.

დეპეშა

მის უდიდებულესობას

საუდ იბნ აბდელ აზიზ ალ-ფეისალ ალ-საუდს

საუდის არაბეთის მეფეს

რიადი

საუდის არაბეთის ეროვნული დღესასწაულის დღეს გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ საბჭოთა კავშირის ხალხებისა და პირადად ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენი ბედნიერებისა, აგრეთვე თქვენი ქვეყნის ხალხის აყვავებისა და წარმატებისა.

ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მსურს გამოვთქვა რწმენა, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ კოლონიურ სახელმწიფოთა სამხედრო აგრესიის ამ მრისხანე ჟამს არაბი ხალხები, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხები, ყოველ ღონისძიებას იხმარენ აგრესიის შესაწყვეტად და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების აღსადგენად.

იმედი მაქვს, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ურთიერთ გაგებას სულისკვეთებით საუდის არაბეთისა და საბჭოთა კავშირს ხალხთა საკეთილდღეოდ.

კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი.
1956 წ. 11 ნოემბერი.

ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მიღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

12 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბარი ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან ამხ. დე გროოტთან და ცენტრალური კომიტეტის წევრებთან — ამხ. გ. კ�იპერთან და ამხ. ს. ხრუნენდეიკთან, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. პოსპელოვმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ბ. ნ. პონომარიოვმა და ო. ვ. კუსინენმა.

საუბრის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სსრ კავშირში რძის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია ვადამდე

ჩვენი ქვეყნის რძის მრეწველობამ შეასრულა ერბო-კარაქისა და მოუხდელი რძის პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გასულ სამეურნეო წელს მნიშვნელოვნად გაადიდეს რძის წარმოება და დამზადება.

1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 ოქტომბრამდე კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.597 კილოგრამი რძე, რაც 337 კილოგრამით მეტია, ვიდრე წინა წელს. საშუალო წველადობა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში ერთ ძროხაზე შეადგენს 2.177 კილოგრამს, ანუ 132 კილოგრამით მეტს, ვიდრე შარშან.

საერთო წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთ წელიწადში გადიდდა 4,2 მილიონი ტონით და მეტით.

რძის დამზადებისა და შესყიდვის 1956 წლის სახელმწიფო გეგმა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში შესრულებულია ვადაზე ორთვენახევრით ადრე.

ამა წლის 1 ნოემბრისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 15,9 მილიონი ტონა რძე, რაც 3,6 მილიონი ტონით აღემატება რძის დამზადებისა და შესყიდვის ფაქტიურ დონეს გასული წლის შესაბამის პერიოდში, და 2,4 მილიონი ტონით მეტია, ვიდრე დამზადებული და შესყიდული იყო მთელ 1955 წელს.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა წარმატებით გაართვეს თავი რძის მიღებასა და გადამუშავებას და უზრუნველყვეს ერბო-კარაქისა და მოუხდელი რძის პროდუქტების წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. 10 თვეში ერბო-კარაქისა და ყველის საწარმოებმა და ქალაქის რძის ქარხნებმა ერბო-კარაქის წარმოების წლიური გეგმა შეასრულეს 104 პროცენტით და მოუხდელი რძის პროდუქციისა — 110 პროცენტით. გამომუშავებულია მოუხდელი რძის პროდუქტები 1,2 მილიონი ტონით, ერბო-კარაქი 93 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1955 წლის ამავე პერიოდში.

რძის მრეწველობის მუშაკები იღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მიმდინარე წელს დაწესებული გეგმის გადამეტებით გამოიმუშაონ ერთი მილიონი ტონა მოუხდელი რძის პროდუქცია და სულ ცოტა 60 ათასი ტონა ერბო-კარაქი.

შესრულებულია კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1956 წელს გააფართოეს კარტოფილის ნათესები, უფრო ორგანიზებულად განახორციელეს ამ კულტურის მოვლის სამუშაოები და უზრუნველყვეს კარტოფილის მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გადიდება.

ა. წ. 1 ნოემბრისათვის კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 7.812 ათასი ტონა, ანუ 2.860 ათასი ტონით მეტი კარტოფილი, ვიდრე გასულ წელს. სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარება გრძელდება.

მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის ვადამდე შესრულებულია მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში კარტოფილის შეზიდვის გეგმა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვებისათვის. გადამამუშავებელმა მრეწველობამ შარშანდელზე 1.250 ათასი ტონით მეტი კარტოფილი მიიღო.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ფონდებში შენახულია 2.778 ათასი ტონით მეტი კარტოფილი, ვიდრე შარშან ამ ვადისათვის.

კარტოფილის კარგმა მოსავალმა წელს შესაძლებლობა მისცა კოლმეურნეობებს აგრეთვე ბევრად გაიდიდებინათ კარტოფილის შენახვა საფურაჟე ფონდებში და შარშანდელზე მეტი კარტოფილი მიეცათ კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე.

უცხოელთა დელეგაციები საქართველოში

11 ნოემბერს დონის როსტოვიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატი, ქალაქ ვაიმარის ობერ-ბურგომისტრი, მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი დოქტორი ჰანს ვიდემანი, მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ქ-ნი იოჰანა ანდერსენ-ნექსე, მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი პროფესორი ფელიქს ბენჰაიმი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა წარმომადგენელი, პირველი მოწვევის ბუნდესტაგის დეპუტატი ქ-ნი თეა არნოლდი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტის მდივანი ვილი რატაი და სხვები.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. ხორავა, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. ქოჩორაძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ჟღენტი, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩამოსვლის დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი. საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ სპექტაკლ „აბესალომ და ეთერს“. გუშინ გერმანელი მშვიდობის მომხრეები იყვნენ ქალაქ რუსთავში. აქ ისინი გაეცნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას.

* * *

12 ნოემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ბერძენ ქალთა დელეგაცია, რომელსაც საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ვასო ტანასეკუ მეთაურობს. დელეგაციის წევრთა შორის არიან მწერლები, ექიმი, პედაგოგი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. ი. დუდჩენკო, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ქ. ნ. ოტიაშვილი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები.

ხანმოკლე დასვენების შემდეგ დელეგაციის წევრები შეუდგნენ საქართველოს დედაქალაქის დირსშესანიშნაობათა გაცნობას. (საქდესი).

დეპეშების გაცვლა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს მარკუს ფელდმანს შორის

1956 წლის 6 ნოემბერს შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა მარკუს ფელდმანმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სახელზე გამოგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტიც ქვემოთ ქვეყნდება:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გატონ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

მოსკოვი

მესამე მსოფლიო ომის და ძალების ახალი მოსინჯვის საშიშროება და მთელი მათი ტრაგიკული შედეგები ემუქრება კაცობრიობას. მაგრამ მშვიდობა შეიძლება ვიხსნათ და კიდევაც უნდა ვიხსნათ. ამ მიზნით შვეიცარიის ფედერალური საბჭო მოგმართავთ მტკიცე მოწოდებით, რომ დაუყოვნებლივ გაიმართოს იმ ოთხი მთავრობის მეთაურთა თათბირი, რომელნიც ჟენევაში შეიკრიბნენ 1955 წლის ივლისში, ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურებისა, რომელთაც შეიძლება შეუერთდეს ინდოეთის მთავრობის მეთაური როგორც ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენელი.

ეს თათბირი შეიძლება გაიმართოს შვეიცარიის კონფედერაციის ტერიტორიაზე.

ფედერალური საბჭო თავის კეთილ სამსახურს გთავაზობთ ამ თათბირის მოსაწყობად.

შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი
მარკუს ფელდმანი

ბერნი, 1956 წ. 6 ნოემბერი.

1956 წლის 11 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა შემდეგი სპასუხო დეპეშა გაგზავნა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტის მარკუს ფელდმანის სახელზე:

შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს გატონ მარკუს ფელდმანს

ბერნი

საბჭოთა მთავრობა, რომელსაც სწამს, რომ საჭიროა ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი საშუალებებით გადაიჭრას, და ის სარგებლობა, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების უშუალო მოლაპარაკებამ შეიძლება მოუტანოს მშვიდობის საქმეს, დადებითად ეკიდება შვეიცარიის წინადადებას, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას შვეიცარიის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურების და ინდოეთის მთავრობის მეთაურის, როგორც ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლის, თათბირი და აცხადებს, რომ მზად არის მიიღოს მონაწილეობა ამ თათბირში.

ნ. ბულგანინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მოსკოვი, 1956 წ. 11 ნოემბერი.

„გახსოვდეთ სუნ იატ-სენი“

მაო ძე-დუნის სტატია

პეკინი, 11 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის სტატია, რომელიც მან დაწერა ჩინელი ხალხის დიდი შვილის, გამოჩენილი რევოლუციონერი დემოკრატის სუნ იატ-სენის დაბადების 90 წლისთავის გამო.

სტატიაში, რომლის სათაურია „გახსოვდეთ სუნ იატ-სენი“, ნათქვამია:

გახსოვდეთ რევოლუციის დიდი დამწყები სუნ იატ-სენი!

გახსოვდეთ, რომ ჩინეთის დემოკრატიული რევოლუციის მოსამზადებელი პერიოდის დროს იგი ჩინელ რევოლუციონერ დემოკრატთა მკაფიო პოზიციებიდან ეწეოდა მედგარ ბრძოლას ჩინელი რეფორმატორების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იგი იყო ჩინელ რევოლუციონერ დემოკრატთა დროშა.

გახსოვდეთ მისი მრავალი დამსახურება და დიდი წარმატებანი სინხაის რევოლუციის დროს (1911 წლის რევოლუცია — **რედ. შენიშვნა**), როცა იგი ხალხს ხელმძღვანელობდა მონარქიის დამხობისა და რესპუბლიკის დაარსებისათვის ბრძოლაში.

გახსოვდეთ მისი მრავალი დამსახურება და დიდი წარმატებანი გომინდანისა და კომპარტიის თანამშრომლობის პირველი პერიოდის დროს, როცა მან განავითარა სამი ძველი ხალხური პრინციპი სამ ახალ ხალხურ პრინციპად.

პოლიტიკისა და იდეოლოგიის დარგში მან ბევრი რამ სასარგებლო დაგვიტოვა.

ჩვენს დროში ყველა ჩინელი, გარდა რეაქციონერთა უმნიშვნელო ჯგუფისა, სუნ იატ-სენის რევოლუციური საქმის განმგრძობია.

ჩვენ დავამთავრეთ დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც ვერ დაამთავრა სუნ იატ-სენმა, და განვავითარეთ ეს რევოლუცია სოციალისტურ რევოლუციად. ახლა ჩვენ ვამთავრებთ ამ რევოლუციას. ყველა საგანი და მოვლენა ყოველთვის ვითარდება. 1911 წლის რევოლუციის დროიდან მხოლოდ 45 წელი გავიდა, ჩინეთის სახე კი მთლიანად შეიცვალა. გავა კიდევ 45 წელი, დადგება 2001 წელი, დაიწყება XXI საუკუნე, და ჩინეთის სახე კიდევ უფრო შეიცვლება. ჩინეთი გადაიქცევა მძლავრ სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ასე უნდა წარიმართოს ჩინეთის საქმე. ჩინეთს აქვს 9 მილიონ 600 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია და ჰყავს 600 მილიონი კაცი მოსახლეობა, და ამიტომ ჩინეთმა შედარებით მეტი წვლილი უნდა შეიტანოს კაცობრიობის განვითარებაში. წარსულში კი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეს წვლილი ძალიან უმნიშვნელო იყო. ეს ჩვენში იწვევს სირცხვილის გრძნობას.

მაგრამ თავმდაბალი უნდა ვიყოთ. თავმდაბალი უნდა ვიყოთ არა მარტო ახლა, არამედ 45 წლის შემდეგაც, არამედ ყოველთვის. საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ჩინელებმა გადაჭრით, ძირეულად, პირწმინდად და მთლიანად უნდა აღმოფხვრან დიდმპყრობელობა.

სუნ იატ-სენი თავმდაბალი ადამიანი იყო. მე ბევრჯერ მომისმენია მისი სიტყვები და მიგრძვნია მისი სულის სიდიადე. იქიდან, თუ რა ყურადღებას აქცევდა იგი ჩინეთის ისტორიის და მის თანამედროვე საზოგადოებაში მდგომარეობის შესწავლას, აგრეთვე იქიდან, თუ რა ყურადღებას აქცევდა იგი უცხოეთის ქვეყნების, მათ შორის საბჭოთა კავშირის მდგომარეობას, ჩვენ ვიცით, რომ იგი ძალიან თავმდაბალი იყო.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი მთლიანად და ბოლომდე ახმარდა თავის ენერგიას ჩინეთის გარდაქმნას, ნამდვილად მთელი თავისი ძალებით და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ემსახურებოდა სამშობლოს.

ისევე როგორც ბევრ სხვა დიდ ისტორიულ მოღვაწეს, რომლებიც სწორ პოზიციებზე იდგნენ ეპოქის მოვლენათა დინების ხელმძღვანელობაში, სუნ იატ-სენსაც ჰქონდა თავისი ნაკლოვანებანი. საჭიროა ადამიანებმა გაიგონ, რომ ეს აიხსნება ისტორიული პირობებით, და არ წარუდგინონ ძალიან მკაცრი მოთხოვნები თავიანთ წინამორბედებს.

დეპეშა

მის უდიდებულესობას

საუდ იბნ აბდელ აზიზ ალ-ფეისალ ალ-საუდს

საუდის არაბეთის მეფეს

რიადი

საუდის არაბეთის ეროვნული დღესასწაულის დღეს გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ საბჭოთა კავშირის ხალხებისა და პირადად ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენი ბედნიერებისა, აგრეთვე თქვენი ქვეყნის ხალხის აყვავებისა და წარმატებისა.

ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მსურს გამოვთქვა რწმენა, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ კოლონიურ სახელმწიფოთა სამხედრო აგრესიის ამ მრისხანე ჟამს არაბი ხალხები, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხები, ყოველ ღონისძიებას იხმარენ აგრესიის შესაწყვეტად და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების აღსადგენად.

იმედი მაქვს, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ურთიერთ

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონისათვის

როგორ მიმდინარეობს სკოლაში ბავშვთა სწავლა-აღზრდის პროცესი, რას აკეთებს პედაგოგთა კოლექტივი მოსწავლეებში შრომითი ჩვევების გამოსამუშავებლად, კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული და აქტიური მშენებლების მოსამზადებლად, რა როლს ასრულებს მთელ ამ საქმიანობაში სასკოლო პარტიული ორგანიზაცია? — აი საკითხები, რომელთა გარშემო გაამახვილეს კომუნისტებმა ყურადღება თბილისის 26-ე საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

პარტბიუროს მდივნის თ. ხატიაშვილის საანგარიშო მოხსენება თვითკრიტიკული და ანალიზიანი იყო. როგორც მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, საანგარიშო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების დარგში. მოეწყო საზეინკლო-მექანიკური სახელოსნო, ბავშვები სწავლობენ მანქანათმცოდნეობას და ლითონის დამუშავების ტექნოლოგიას. დიდი მონდომებით მუშაობს მანქანათმცოდნეობის მასწავლებელი კომუნისტი დ. ფასურაშვილი.

სკოლის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები იბრძვიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმის მითითებათა განსახორციელებლად. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე მშობელთა კომიტეტის კარგი მუშაობა. სკოლაში შემოღებულია მშობელთა მორიგეობა.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა პარტბიუროს მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას. ახალგაზრდობაში სუსტი სასწავლო-აღმზრდელობითი და პოლიტიკური მუშაობით აიხსნება დისციპლინის დარღვევის ხშირი შემთხვევები და აკადემიური წარმატების დაბალი დონე. პედაგოგთა შორის არ იყო მჭიდრო კავშირი, არ ეწყობოდა კოლექტიური სვლა თეატრებში, კინოსა და მუზეუმებში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა უფროსი პიონერხელმძღვანელი და სასკოლო კედლის გაზეთის რედაქტორი ნ. ბელოუსოვი, რომელმაც ილაპარაკა კლასგარეშე მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და პირობა მისცა კრებას, რომ ძირეულად გარდაქმნის პიონერული ორგანიზაციის და სასკოლო კედლის გაზეთის მუშაობას, სკოლაში ჩამოაყალიბებს თემურელთა რაზმს და განახორციელებს სხვა მასობრივ ღონისძიებებს.

კომუნისტმა ი. ჯორჯაძემ ყურადღება გაამახვილა ფიზკულტურული მუშაობის ნაკლოვანებებზე და მოითხოვა მიღებულ იქნას ზომები სასპორტო მოედნის მოსაწყობად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მასწავლებლებმა ს. გველესიანმა, ი. ჩხენკელმა, ა. იურევამ, ე. კოპილოვამ, ა. კანიუკმა, ნ. ჯორბენაძემ, დ. ფასურაშვილმა და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე მასწავლებლებთან პარტორგანიზაციას ერთხელაც არ მოუწყვია გასაუბრება, არ იმართებოდა თეორიული კონფერენციები. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მოსწავლე სრულიად არ გაინცდის, როცა ცუდ ნიშანს იღებს საგანში, არ ცდილობს მის გამოსწორებას. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ახლა სკოლაში შემოღებულია მოსწავლეებზე ზემოქმედების ასეთი წესი: რა დღესაც მოსწავლე დაარღვევს დისციპლინას ან საგანში ცუდ ნიშანს მიიღებს, სკოლის დირექცია და პარტორგანიზაცია უკავშირდებიან იმ საწარმოს ან დაწესებულების პარტორგანიზაციას, სადაც ამ მოსწავლის მშობლები მუშაობენ, და ატყობინებენ მომხდარი ფაქტის შესახებ. საწარმოს ან დაწესებულების პარტორგანიზაციის მდივანი მშობლებს რჩევა-დარიგებას აძლევს, ამაღლებს მათს პასუხისმგებლობას ბავშვთა აღზრდის საქმეში. ასეთმა წესმა კარგი შედეგი გამოიღო.

კრებამ პარტბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი და აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა. პარტბიუროს მდივნად არჩეულია თ. ხატიაშვილი.

ივ. მჭედლიშვილი.

ზამთრისათვის მზადების საკითხი საქალაქო კომისიების პლენუმზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი ზამთრისათვის საწარმოთა და დაწესებულებათა მზადყოფნის შესახებ.

მომხსენებელმა — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მ. გვასალიამ და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მაუდის ფაბრიკის, ტყავ-ფეხსაცმელის კომბინატის, რკინიგზის სალიანდაგო დისტანციისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ზამთრის შესახვედრად.

პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზამთრისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოაშკარავებას. ბარიტის მაღაროთა სამმართველომ დროზე არ იზრუნა ნედლეულის მომარაგებისათვის. საქართველოს სსრ საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო საჭირო დახმარებას არ უწევს ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის ბარიტის გამდიდრებაში. საშენი და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფილი არ არიან № 4 სამშენებლო ტრესტი, „საქქვანახშირის“ ქუთაისის სამშენებლო კანტორა, მანქანათმშენებელი ქარხანა და სხვა საწარმოები. საავტომობილო ქარხანაში ბინების რემონტისათვის გამოყოფილი თანხა მთლიანად არ არის ათვისებული. ჯერ კიდევ შეუკეთებელია რკინიგზის ქუთაისი-რიონის გადასარბენზე სადარაჯო ჯახურები.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ზამთრისათვის საწარმო-დაწესებულებათა ყოველმხრივ მოსამზადებლად.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მექანიზაგორებს მუშაობის ნორმალურ პირობებს არ უქმნიან“

„კომუნისტში“ ამ სათაურით გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია ადიგენის რაიონის მტს-ების მექანიზატორთა შორის მუშაობის ნაკლოვანებებზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო. აღნიშნული საკითხი განიხილა სამინისტროს კოლეგიამ. სუსტი მუშაობისათვის ადიგენის მტს-ის დირექტორი დ. ბუაჩიძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

სამინისტროს კოლეგიამ წერილში მხილებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებანი.

მგზნებარე რევოლუციონერი

★

ა. წულუკიძის დაბადების 80 წლისთავი

★

რუსეთის მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ მოგვცა ადამიანები, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე მშრომელთა განთავისუფლების საქმეს მოახმარეს. მათ შესახებ დიდი ლენინი ჯერ. კიდევ 1910 წელს წერდა: „ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც რევოლუციის წინ არა ერთი და ორი, არამედ მთელი 10 წელი სავსებით მოახმარეს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ერთეულების უსარგებლო ტერორისტულ წამოწყებებს კი არ შესწირეს თავი, არამედ შეუპოვრად, განუხრელად მოქმედებდნენ პროლეტარულ მასებში, ხელს უწყობდნენ **მათი** შეგნების, **მათი** ორგანიზაციის, **მათი** რევოლუციური თვითმოქმედების განვითარებას... ასეთი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, რუსი ხალხი სამუდამოდ დარჩებოდა მონების ხალხად, ყმების ხალხად. ასეთი ადამიანების მეოხებით რუსი ხალხი მოიპოვებს სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან“ (თხზ., ტ. 16, გვ., 454).

ასეთ შესანიშნავ მებრძოლთა რიცხვს ეკუთვნის ალექსანდრე (საშა) წულუკიძე, რომელმაც თავისი სიცოცხლის მოკლე მანძილზე ბევრი გააკეთა პროლეტარიატის განთავისუფლების საქმისათვის. უაღრესად განათლებული მარქსისტი, ლენინური სკოლის პროფესიონალი რევოლუციონერი, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ურყევი ბოლშევიკი, ყველა ჯურის ოპორტუნისტებისა და მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, მარქსიზმის ნიჭიერი თეორეტიკოსი, ორგანიზატორი და პროპაგანდისტი, — აი ვინ იყო ა. წულუკიძე.

ა. წულუკიძემ ხანმოკლე, მაგრამ შესანიშნავი ცხოვრების გზა განვლო. იგი ბავშვობიდანვე განიმსჭვალა მშრომელებისადმი ღრმა სიყვარულით და მათი განთავისუფლების საქმეს მოახმარა მთელი თავისი შემოქმედებითი ძალები. 19 წლის ახალგაზრდა, იგი უკვე მონაწილეობს ქუთაისის მარქსისტულ წრეში და დაუღალავად მუშაობს თავისი პოლიტიკური მომზადების დონის ასამაღლებლად.

გაზეთ „ივერიაში“ ერთხანს მუშაობის შემდეგ, ა. წულუკიძე 1897 წელს მიემგზავრება მოსკოვში და თავისუფალ მსმენელად ეწყობა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ მას საშუალება მიეცა ახლოს გასცნობოდა რუსეთის მოწინავე ლიტერატურას, დაუცხრომლად ემუშავნა მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებზე, რამაც ხელი შეუწყო მისი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შემუშავებას. ამავე დროს იგი პრაქტიკულად მონაწილეობდა მარქსისტულ წრეებში, გამოდიოდა მარქსიზმის მტრების წინააღმდეგ, წერდა მთელ რიგ შრომებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქვე მ. ცხაკაია ა. წულუკიძის მოსკოვში მოღვაწეობის შესახებ ასე წერდა: „საშა აქტიურ მონაწილეობას იღებს მოსკოვის სტუდენტთა მარქსისტული წრეების მუშაობაში, ურყევად დგას რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებზე და იწყებს ბრძოლას ლეგალური მარქსისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ მარქსის მოძღვრება ბურჟუაზიის ინტერესებს შეუგუონ“.

მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1899 წ. ზაფხული) ა. წულუკიძე ძალი ენერგიით ებმება რევოლუციურ მუშაობაში და გვევლინება როგორც დასრულებული მსოფლმხედველობის მარქსისტი. იგი ი. ბ. სტალინთან, ლ. კეცხოველთან ერთად აარსებდა „მესამე დასის“ ოპორტუნისტულ უმრავლესობას და იბრძოდა არალეგალური ბეჭდვითი სიტყვის შექმნისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობიდან მარქსიზმის მასობრივ აგიტაციაზე გადასვლისათვის. მათი ხელმძღვანელობით ეწყობა მუშათა რევოლუციური გამოსვლები, საფუძველი ეყრება ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს, იმართება მუშათა გაფიცვები, საპირველმაისო დემონსტრაციები და სხვ.

ა. წულუკიძე სხვადასხვა დროს დაუღალავ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ხონში და სხვ. იგი ქმნიდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რაზმავდა მშრომელებს მეფის, მემამულეების, კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1903 წლის ზაფხულში ხელმძღვანელობდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომელმაც [illegible] ...ლოს და-სავლეთ საქართველოში [illegible] ...ციური [illegible] ...ის [illegible]

1903 წლის მარტში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობაზე თბილისში დაარსდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად არჩეულ იქნა ა. წულუკიძე. ამ ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გაიწია პარტიის II ყრილობის მომზადებისათვის. ამ ყრილობის დამთავრების შემდეგ ა. წულუკიძე გადაჭრით დადგა ბოლშევიკების პოზიციებზე და დაუღალავად იბრძოდა ლენინური ხაზის გატარებისათვის. იგი ულმობლად ამხილებდა და ნიღაბს ხდიდა მენშევიკებსა და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, რომლებიც ცდილობდნენ მუშათა კლასი აეცდინათ რევოლუციური ბრძოლის გზიდან.

ა. წულუკიძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა 1905 წლის გაფიცვებსა და შეიარაღებულ გამოსვლებში.

დაუღალავმა რევოლუციურმა მუშაობამ, სასტიკმა დევნამ და შევიწროებამ ძლიერ შეარყია ა. წულუკიძის ისიც სუსტი ჯანმრთელობა. იგი მალე ლოგინად ჩავარდა. 1905 წლის 21 ივნისს კი საბოლოოდ შეწყდა ამ მგზნებარე მებრძოლის მაჯისცემა. მისმა უდროოდ გარდაცვალებამ ძლიერ დაამწუხრა ამიერკავკასიის მშრომელები. მისი დაკრძალვა დაბა ხონში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ უდიდეს პოლიტიკურ დემონსტრაციად იქცა.

ა. წულუკიძემ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მის ბევრ ნაწარმოებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა და ცხოველმყოფელობა. ჩვენი ინტელიგენცია, მშრომელები ახლაც დიდი ინტერესით კითხულობენ მის ისეთ შესანიშნავ ნაშრომებს, როგორიც არის: „შეგნებული პროლეტარიატის ბრძოლა“, „სხვაგან და ჩვენში“, „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს“, „ჩვენი უთანხმოება“, „ახირებული პრეტენზია“, „ოცნება და სინამდვილე“, „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ და სხვ. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შეცნიერული სოციალიზმის მამამთავრის კ. მარქსის უკონომიური მოძღვრების პოპულარულ გადმოცემას.

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებენ თავიანთ სახელოვან შვილებს, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული სიცოცხლე და შემოქმედებითი ძალები მშრომელთა განთავისუფლების საქმეს მოახმარეს. ისინი ყოველთვის პატივისცემით მოიგონებენ პროფესიონალ რევოლუციონერს, მგზნებარე მებრძოლს ა. წულუკიძეს. მის მაგალითზე ჩვენი ახალგაზრდობა ისწავლის, თუ როგორ უნდა დასახული მიზნისათვის შრომა და ბრძოლა, ხალხისადმი სამსახური.

კ. ჯოხიძე.

საქალაქო პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში

გ. გეგეშიძე,
საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მოსახლეობის ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებებისადმი ყურადღების გადაჭრით გაძლიერება, საზოგადოებრივი კვების ქსელის შემდგომი გაფართოება, კვების გაიაფება და მისი ხარისხის ამაღლება. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს საბჭოთა ვაჭრობის შემდგომ გაფართოებას და მისი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია ხუთწლედის განმავლობაში გადიდდეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა დაახლოებით 50 პროცენტით, განვითარდეს მაღაზიებისა და დუქნების ქსელი, რათა სამუშაო ადგილების რიცხვი სავაჭრო საწარმოებში ხუთწლედის მანძილზე გაიზარდოს სულ ცოტა 40 პროცენტით. ამასთან ერთად გათვალისწინებულია გადიდდეს სასადილოთა ქსელი სულ ცოტა 50 პროცენტით და საზოგადოებრივი კვების საწარმოების პროდუქციის გამოშვება დაახლოებით 75 პროცენტით.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სულ უფრო ფართოდ აჩაღებს ბრძოლას ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, სასურსათო და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, თბილისში მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფონდები. ამასთან ერთად შექმნილია პირობები იმისათვის, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გადიდდეს საქონლის რესურსები.

მაგრამ იმის შედეგად, რომ თბილისის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველდღიურ მზრუნველობას არ იჩენენ კულტურული ვაჭრობის მოწყობისათვის, სავაჭრო საწარმოებში და საზოგადოებრივი კვების ქსელში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმმა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის. სხვა დიდ ნაკლოვანებებთან ერთად მთელი პირდაპირობით გამოააშკარავა საბჭოთა ვაჭრობის ხარვეზები. პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში, მათ შორის თბილისში, მრავალია სპეკულაციის, გაფლანგვა-დატაცების, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის, მომხმარებელთა ცუდი მომსახურების, ზომასა და წონაში მათი მოტყუების ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მუშაობა კულტურული ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ჯერ კიდევ გადამწყვეტი ბრძოლა არ არის გაჩაღებული კერძო მეწარმეობის, სავაჭრო ქსელში სპეკულანტებისა და გამფლანგველების, უპატიოსნო ადამიანების შეპარვის წინააღმდეგ.

საბჭოთა ვაჭრობის გაუმჯობესების ამოცანა გადაუდებლად მოითხოვს მკვეთრად ავამაღლოთ სავაჭრო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების როლი, ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკთა შორის. მაგრამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ და წარმართავენ სავაჭრო საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, ღრმად ვერ სწვდებიან საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკას, სათანადო პასუხისმგებლობას არ გრძნობენ მაღაზიების, დუქნების, საზოგადოებრივი კვების ქსელის შეუფერხებელი მუშაობისათვის. ვაჭრობის მუშაკთა მრავალათასიან კოლექტივში კომუნისტები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ ავანგარდულ როლს.

თბილისის სავაჭრო ქსელში 176 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა, რომლებშიც 2.800-ზე მეტი კომუნისტია. ვაჭრობის ყოველი მეოთხე მუშაკი კომუნისტია. ამრიგად პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ბრძოლისუნარიანობაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების დონე. მართლაც იქ, სადაც პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე დგას, კომუნისტები აქტიურად იბრძვიან კულტურული ვაჭრობის მოწყობისათვის, მშრომელთა სავაჭრო მომსახურებაც კარგად არის დაყენებული.

ამ მხრივ საყურადღებოა თბილისის გასტრონომის № 2 მაღაზიის პირველადი პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ი. ჩერკაშინი) მუშაობა. პარტორგანიზაცია რეგულარულად იწვევს კომუნისტთა კრებებს, რომლებზეც მაღალი აქტივობის ვითარებაში განიხილავენ კულტურული ვაჭრობის საკითხებს. მაღაზიის მუშაკთა შორის მაღალ დონეზე დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, სისტემატურად ეწყობა ლექციები, პოლიტიკური მოხსენებები და სააგიტაციო საუბრები. პარტორგანიზაცია უნარიანად იყენებს მაღაზიის ადმინისტრაციის საქმიანობისადმი მისთვის სკკპ წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას. საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ყოველი ფაქტი დაუყოვნებლივ ხდება პარტიული კრების მსჯელობის საგანი. ასეთ ვითარებაში გასაკვირველი როდია, რომ მაღაზია ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმებს, სანიმუშოდ ემსახურება მომხმარებლებს.

მაგრამ სავაჭრო საწარმოთა ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში როდია საქმე ასე დაყენებული. სადაც პარტიული ორგანიზაციები უმოქმედობენ, ხოლო კომუნისტები უბრალო მაყურებელთა როლში გამოდიან, იქ კულტურული ვაჭრობაც მოუწყობელია. პარტორგანიზაციის, კომუნისტების უმოქმედობა ხელს უწყობს შინაურულობისა და მაამებლობის დანერგვას, ჰქმნის პირობებს გაფლანგვა-დატაცებისა და სპეკულაციისათვის, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, არ სრულდება საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმები.

სწორედ ასეთი მდგომარეობაა თბილმრეწვავაჭრობის სტალინის რაიონის ქსელის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი კ. სამხარაძე), რომელშიც 30-ზე მეტი კომუნისტია. პარტორგანიზაცია ვაჭრობის მუშაკებში არადამაკმაყოფილებლად ეწევა პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, ვერ უზრუნველყოფს კომუნისტების ავანგარდულ როლს. აქ პარტიულ კრებებს არარეგულარულად და მოუმზადებლად იწვევენ. ამიტომ კრებები უფერულად, ნაკლოვანებებისადმი შემარიგებლური დამოკიდებულების ვითარებაში მიმდინარეობს. კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე მიღებული დადგენილებები არაკონკრეტულია, არავის არაფერს ავალებს. პარტბიუროო სუსტად ახორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, არ ისმენს და არ განიხილავს სავაჭრო საწარმოთა ხელმძღვანელების ანგარიშს. აგიტატორთა უმრავლესობა არავითარ მუშაობას არ ეწევა. კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა თვითდინებაზეა მინდობილი. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ აქ დიდი დანაკლისებით სრულდება საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმები, ხშირია მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებისა და სხვა დარღვევათა შემთხვევები. იმ მაღაზიაშიც კი, რომელსაც პარტბიუროს მდივანი კ. სამხარაძე ხელმძღვანელობს, იშვიათი როდია ვაჭრობის წესების დარღვევები.

უკეთესად არც სადგურ თბილისის რესტორანის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არის საქმე. აქ პარტბიუროს სხდომებს შემთხვევიდან შემთხვევამდე იწვევენ. წელს, მაგალითად, პარტბიუროს სხდომა მხოლოდ სამჯერ იქნა მოწვეული. პარტბიუროო კომუნისტებს არ ზრდის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. დაბალ დონეზე ეწყობა პარტიული კრებები. მაგალითად, პარტიულ კრებაზე, რომელმაც ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი განიხილა, როგორიცაა კომუნისტთა პოლიტიკური აღზრდა, კამათში მხოლოდ ორმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, და ეს მაშინ, როცა პარტიულ ორგანიზაციაში 30-ზე მეტი კომუნისტია.

პარტიული ორგანიზაცია დუმილით უვლის გვერდს საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ისეთ სამარცხვინო და შეუწყნარებელ ფაქტებს, როგორიც არის მომხმარებელთა მოტყუება. უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში რესტორანში საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის 20-ზე მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ვაჭრობის წესების დამრღვევთა შორის კომუნისტებიც არიან, მიუხედავად ამისა, რესტორანის პარტიულ ორგანიზაციას დღემდე ერთხელაც არ განუხილავს მომხმარებელთა მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, არ უმსჯელია კონკრეტულ დამნაშავეებზე, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს.

აშკარა უმოქმედობას იჩენს საზოგადოებრივი კვების ქსელის ბევრი სხვა პარტიული ორგანიზაციაც. თბილისის მარჯვენა მხარის სასადილოების ტრესტი სისტემატურად ვერ ასრულებს საქონელბრუნვის გეგმას. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ტრესტის პარტბიუროს (მდივანი ა. მდივნიშვილი) შეამფოთებდა ასეთი მდგომარეობა. მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა. პარტბიუროო არა თუ სათავეში არ ჩაუდგა ბრძოლას საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, არამედ გვერდზე გაუდგა ტრესტის კოლექტივის ცხოვრებას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აქ უკანასკნელი თვეების განმავლობაში პარტიული კრება მხოლოდ ორჯერ მოიწვიეს და მაშინაც რეკომენდებული საკითხები განიხილეს.

პარტიული კრების, როგორც კომუნისტთა აღზრდის სკოლისა და საბჭოთა ვაჭრობის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად მასების დარაზმვის საშუალების, როლის შეუფასებლობას მარტო აღნიშნულ პარტორგანიზაციებში როდი ვხვდებით. სავაჭრო საწარმოებში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არარეგულარულად იწვევენ კომუნისტთა კრებებს, ზერელედ და არაგულისხმიერად ამზადებენ მათ, ნაკლებად ზრუნავენ ისეთი საკითხების შერჩევისათვის, რომლების განხილვაც დაინტერესებდა კომუნისტებს და უპარტიო ამხანაგებს. პარტორგანიზაციების უმრავლესობა კმაყოფილდება რეკომენდებულ საკითხებზე მსჯელობით, ამ საკითხების განხილვას არ უკავშირებენ ადგილობრივ ცხოვრებას. ასე, მაგალითად, თბილისის გასტრონომის № 9 მაღაზიის პარტიულ ორგანიზაციაში 15 კრებიდან 14 კრება რეკომენდებული საკითხების განხილვას მიეძღვნა. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ამ

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

მევენახეობის მილიონერი ბრიგადა



ა. ნასიბოვი.

„ტიბაანი“, როგორც საუკეთესო მარკის სუფრის ღვინო, ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას მიღებული აქვს საკავშირო პრემია მაღალხარისხოვანი ყურძნის მოყვანისათვის. ამ წარმატებას ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით მივაღწიეთ.

ჩვენი კოლმეურნეობის ზვრებს 113 ჰექტარი უკავია. პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია 1960 წლისათვის დამატებით გავაშენოთ 150 ჰექტარი ვენახი. წელს გამზადებული გვაქვს 40 ჰექტარი პლანტაჟი. ახალი ვენახების გაშენების ხუთწლიან დავალებას 1958 წლისათვის შევასრულებთ.

ბრიგადაში 37,5 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი გვაქვს. წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 70 ცენტნერი ყურძენი, ცალკეულ ნაკვეთებზე კი — 80-100 ცენტნერი.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღება შეუძლია ყველა მევენახეს, თუ იგი გამოიყენებს ვენახების დამუშავების მოწინავე მეთოდებს, კარგად დაეუფლება აგროტექნიკას.

მიმდინარე წლის ყურძნის ბარაქიანი მოსავლისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომიდან დავიწყეთ. ნიადაგში ტენის შენარჩუნებისა და სარეველა ბალახების მოსპობის მიზნით ჩავატარეთ რიგთაშორის ხვნა, ვაზების შემობარვა, ზაფხულში ექვსჯერ მოვაწყეთ კულტივაცია.

გულისხმიერად ჩავატარეთ მწვანე ოპერაციები. ბორდოს სითხე შვიდჯერ შევასხურეთ, გოგირდი სამჯერ შევაფრქვიეთ.

სხვლა ჩავატარეთ ინდივიდუალური მიდგომის წესით; ძლიერ ვაზებს დავუტოვეთ 3-5 სანაყოფე რქა, თვითეულზე 8-12 კვირტით. ამასთანავე თვითეულ ვაზზე დავტოვეთ 2-3 სამამულე რქა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გაგვეორკეცებინა ყურძნის მოსავალი.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვენახში სასუქების შეტანას. შემოდგომით თვითეულ ჰექტარზე 0,5 ტონა სუპერფოსფატი შევიტანეთ, ხოლო გაზაფხულზე ამდენივე აზოტი, 8 ჰექტარზე დამატებით შევიტანეთ ორგანული სასუქი ჰექტარზე 50 ტონის რაოდენობით. ჩვენმა ბრიგადამ წელს სახელმწიფოს 210 ტონა ყურძენი ჩააბარა და 1,5 მილიონ მანეთამდე შემოსავალი მიიღო.

ორი წლის წინათ ცდის მიზნით რამდენიმე ვაზი დავამუშავეთ ახლებურად — მოკლე კორდონის წესით. თვითეულმა მათგანმა წელს საშუალოდ მოისხა 142 მტევანი, რომელთა საერთო წონა 25-30 კილოგრამს უღრის. ამ წესით ვაზი შემდეგნაირად დავამუშავეთ: ორმხრივი შპალერის თვითეული რქა მუდმივ მკლავად გადავაკეთეთ, თვითეულზე 2-3 ნეკი დავტოვეთ, ხოლო ბოლო რქა 8-10 კვირტზე გავსხლალით და მავთულზე სწორად დავაკავეთ, ზაფხულში ამ რქაზე 2-3 ყლორტი დავტოვეთ. შემდეგ წელს დატოვებულ ნეკებზე სანაყოფე და სამამულე რქა დავტოვეთ, ხოლო დანარჩენი სამ-სამ კვირტიან ნეკებზე გავსხლილით, რომელზეც მომავალში სანაყოფე და სამამულე რქას დავტოვებთ. ამ წესით ვაზის დატვირთვას თანდათანობით ვზრდით და საბოლოოდ 50-60 კვირტამდე აგვყავს.

ჩვენს ბრიგადაში ბევრი მოწინავეა, მათ შორის მერგოლურები ვ. ბეჟანიშვილი და გ. შენკენაშვილი.

მოსავლის აღების დამთავრებისთანავე ფართოდ გავაჩაღეთ ვენახის სამუშაოები, აქედანვე ვუყრით საფუძველს მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ა. ნასიბოვი,
სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის № 7 ბრიგადის ხელმძღვანელი.

ერთი პიროვნთაგანი

ქუთაისის რაიონის იმ კოლმეურნეობათა შორის, რომლებმაც წელს სერიოზული მიღწევები მოიპოვეს პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში, სოფელ გოდოგნის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ახალ ნაბიჯს“ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა სიმინდის მოსავლიანობის დავალება — ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერის ნაცვლად მიიღო 25 ცენტნერი მოსავალი.

გოდოგნელმა მეცხოველეებმა კარგად დაამთავრეს მეცხოველეობაში გასული სამეურნეო წელიც. წარმატებით შესრულდა პირუტყვის სულადობის განვითარების გეგმები ყველა სახისა და ჯგუფის მიხედვით. 70 ძროხიდან თვითეულზე გეგმის გადამეტებით მიღებულია 152 ლიტრი რძე.

კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების სახელმწიფო გეგმები. შარშანდელთან შედარებით აქ ოთხჯერ გაიზარდა მარცვლეულის ხვედრი შრომადღეზე. თუ 1955 წელს თვითეულ შრომადღეზე ერთნახევარი კილოგრამი მარცვლეული განაწილდა, წელს გაიცემა 6 კილოგრამი.

(საკ. კორ).

გავამშვენიეროთ და გავაღამაზოთ ჩვენი ქალაქები და სოფლები

ხაღხთა ღენინური მეგობრობის დროშით

გენიჩესკელთა დეპეშა მახარაძელებს

მახარაძე. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39 წლისთავთან დაკავშირებით უკრაინის კომპარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ა. პრილიპკომ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ფ. რაძიევსკიმ პარტიის მახარაძის რაიკომს გამოუგზავნეს დეპეშა.

— გენიჩესკის რაიონის ყველა მშრომელის სახელით, — ნათქვამია დეპეშაში, — მხურვალედ მოგილოცავთ თქვენ, მომე საქართველოს რესპუბლიკის მახარაძის რაიონის მშრომელებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს. სოციალისტური შეჯიბრება მახარაძისა და გენიჩესკის რაიონებს შორის უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ურღვევი სიმბოლოა. მისი მიზანია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულების უზრუნველყოფა. ჩვენ ვამაყობთ სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში თქვენი რაიონის მიღწევებით, რომლებიც შევიტყეთ თქვენი დეპეშის საშუალებით.

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით გაანადღეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. თვითეულ საფურაეე ძროხაზე მიღებულია 2.490 კილოგრამი რძე, ვადაზე ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის და სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

ძვირფასო ამხანაგებო! გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

პარტიის მახარაძის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღეს აგრეთვე უკრაინის კომპარტიის ხერსონის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ელისტრატოვის წერილი.

დუშელთა ღელეგაცია გაემგზავრა დაღისტანში

დუშეთი, (სპეც. კორ.). როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, დუშეთის რაიონისა და გუნიბის რაიონის (დაღისტნის ასსრ) მშრომელები ერთმანეთს ეჯიბრებიან სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

გასული წლის ზაფხულში გუნიბის რაიონის მშრომელთა ღელეგაცია იყო საქართველოში. ღელეგაციის წევრები საფუძვლიანად გაეცნენ დუშეთის რაიონის მეცხოველეობა, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მუშაობას და გააფორმეს სოციალისტური ხელშეკრულების პირობები.

შაბათს, 10 ნოემბერს, დუშეთის რაიონის მშრომელთა ღელეგაცია გაემგზავრა დაღისტნის ასს რესპუბლიკაში. ღელეგაციაში შედიან: საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანი გ. ზოტიკაშვილი (ღელეგაციის ხელმძღვანელი), დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ე. პირმისაშვილი, სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ნაზღაიძე, სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. დანელია, სოფელ მლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. პეტრიაშვილი, დუშეთის მტს-ის მთავარი ვეტექიმი ლ. ნურაზიანი.

ღელეგაციის წევრები გაეცნობიან მომდინარე წელს სოციალისტური შეჯიბრებით გუნიბელთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და მათთან გააფორმებენ სოციალისტური ხელშეკრულების ახალ პირობებს 1957 წლისათვის.

დაიწყო ლაშქრობა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშვენით შესამოსავად. ამ საშვილიშვილო საქმეში აქტიურად ჩაებნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები. ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში, საწავლებლებში იმართება კრებები, რომელზეც სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს თბილისის გარეუბნების, ქუჩების, მოედნების, ეზოების გასამწვანებლად.

ამ დღეებში თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

დოცენტმა ა. ასლანიკაშვილმა ვრცლად ილაპარაკა მწვანე ნარგავების გამაჯანსაღებელ მნიშვნელობაზე.

— ყველასათვის ცნობილია, რომ მწვანე ნარგავები, — თქვა პროფესორმა ვ. თოფურიამ,—ესთეტიკურ გრძნობებს აღვიძებს. ამავე დროს ხეებს, მწვანე ნარგავებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის. საჭიროა აქტიურად ვიბრძოლოთ ჩვენი მშობლიური ქალაქის მწვანით შემოსვისათვის, იმისათვის, რომ თბილისი ულამაზესი ქალაქი გახდეს.

—მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტობა, — განაცხადა ამავე ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა მ. წულაძემ, — უკვე ჩავბა. მუშაობაში და თავისი წვლილი შეაქვს თბილისის ზღვის მიდამოების გამწვანების საქმეში. მომავალში კიდევ უფრო მტკიცედ ... ეს ... ეზოში იყოს ჩაფლული.

[illegible] პროფესორი ლ. ბეგლარაძე, დოცენტი თ. ცეცხლაძე, რომლებმაც მოუწოდეს პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, მუშა-მოსამსახურეებს ამრავლონ თავიანთი წვლილი თბილისის გალამაზებისა და გამშვენიერების საქმეში.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო მიმართვა ქალაქ თბილისის მშრომელებისადმი.

* * *

კვირას, 11 ნოემბერს, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს „თბილისის ზღვის“ მიდამოების გამწვანების სამუშაოებში. სურათზე: წინა პლანზე (მარჯვნიდან): გეოფიზიკის კათედრის ასისტენტი ლ. ვეკუა, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი მ. მირიანაშვილი და ამავე ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ვ. მაზანიშვილი ხერიან მცენარეების ჩასარგავ ორმოებს.

ფოტო შ. გოკაძისა.

მწვანე სამოსით მოვრთოთ მშობლიური ქალაქი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორთა, მასწავლებელთა, მუშათა და მოსამსახურეთა მიმართვა ქალაქ თბილისის მშრომელებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

თვითეული ჩვენგანი კანონიერად ამაყობს იმით, რომ ცხოვრობს გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში, იმ ქვეყანაში, რომელმაც ააშენა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება.

გმირმა საბჭოთა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით განახორციელა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი გარდაქმნები, რომელთა შედეგად ჩვენი წარსულში აგრარული და ჩამორჩენილი ქვეყანა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, მძლავრი ინდუსტრიის, მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადაიქცა. უმაგალითო წარმატებებს მიაღწია ჩვენმა სოციალისტურმა კულტურამ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია გრანდიოზული ამოცანები. მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც ერთსულოვნად დარაზმულია ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, წარმატებით ასრულებს კომუნისტური მშენებლობის დიდ გეგმებს. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში იქმნება ახალი ქალაქები, შენდება ახალი ფაბრიკები და ქარხნები, მძლავრი ელექტროსადგურები.

ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელს წერს საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც პარტიის მოწოდების პასუხად არ იშურებს თავის ძალებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხალხის უდიდესი შრომითი ენთუზიაზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საწინდარია.

ამხანაგებო!

პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია უდიდესი სამუშაოები ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მისი ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის. ამ სამუშაოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს დედაქალაქ თბილისისა და მისი მიდამოების, კერძოდ „თბილისის ზღვის“ ნაპირების კეთილმოწყობას, მის გარშემო ტყეპარკის შექმნას, ქალაქის გამწვანებასა და მორთვას.

ამ ღონისძიებებს დიდი გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა ექნება: ხშირი მცენარეული საფარი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს მიკროკლიმატს, დაიცავს ნიადაგს გამოფიტვისა და ჩამორეცხვისაგან, თავიდან აგვაცილებს წყალდიდობებს.

ამ სამუშაოთა განხორციელებაში უდიდესი როლის შესრულება შეგვიძლია ჩვენ, თბილისის მცხოვრებთ.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები, მასწავლებლები, მუშები და მოსამსახურეები ვალდებულებას ვკისრულობთ 1956 წლის შემოდგომაზე და მომავალი წლის გაზაფხულზე ქალაქ თბილისის მიდამოებში გავამწვანოთ 8 ჰექტარი ფართობი.

ამასთანავე მივმართავთ თბილისის ყველა მშრომელს და მოვუწოდებთ მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას.

მოვაწყოთ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა თბილისის ქუჩების, მოედნების, სამრეწველო საწარმოთა და სასწავლებელთა ეზოების გამწვანებისათვის.

ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, დავრგოთ მწვანე ნარგავები, დეკორაციული მცენარეები, ხეხილი, ბუჩქები, მოვაწყოთ ყვავილნარები და გაზონები.

მწვანე სამოსით მოვრთოთ ჩვენი საყვარელი ქალაქი.

კრებებზე ნაკლებია კომუნისტების აქტივობა, წარმოთქვამენ მოსაწყენ სიტყვებს, რომლებშიც არ არის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა პირუთვნელი, გაბედული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

სავაჭრო საწარმოებში პარტიული მუშაობის დიდი ნაკლია ის, რომ კომუნისტთა კრებებზე ხშირად საერთო ხასიათის, არაფრისმთქმელ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც შეუძლებელს ხდის მათი შესრულების შემოწმებას. თბილმრეწვაჭრობის № 36 მაღაზიის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რომელზეც სკკპ XX ყრილობის შედეგები განიხილეს, მხოლოდ ყრილობის გადაწყვეტილებათა მოწონებით დაკმაყოფილდნენ და არ დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ის არის, რომ ვაჭრობის მუშაკებში სუსტად არის დაყენებული აღმზრდელობითი, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. სავაჭრო საწარმოთა პარტორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის, მათი კულტურისა და შეგნებულობის დონის ამაღლებისათვის.

ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ვაჭრობის დარგის მუშაკთა ეკონომიური ცოდნით შეიარაღებას. გასულ წელს პარტიული განათლების ქსელში თითქმის მხედველობიდან იყო გამოშვებული საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის სწავლება. მიმდინარე სასწავლო წელს ამ მხრივ გადადგმულია პირველი ნაბიჯები. შექმნილია და მუშაობს საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის შემსწავლელი 10 სემინარი, რომლებშიც ვაჭრობის 229 მუშაკია გაერთიანებული. მაგრამ ეს საკმარისი როდია. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და რაიკომებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ვაჭრობის მუშაკთა შორის კონკრეტული ეკონომიკის საკითხების პროპაგანდას.

ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია იდეურ-პოლიტიკური შეგნებულობა, მით უფრო მაღალია ვაჭრობის მუშაკის კულტურა. სავაჭრო საწარმოებში ცოტა როდია მცოდნე, პატიოსანი და კეთილსინდისიერი მუშაკი, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით ხელს უწყობენ კულტურული ვაჭრობის მოწყობასა და განვითარებას. ასეთ მუშაკთა რიგებს ეკუთვნიან თბილისის მარჯვენა ნაპირის კვებაჭრობის № 54 მაღაზიის დირექტორი ი. ხაზარაძე, ამავე სისტემის № 4 მაღაზიის გამყიდველი ა. სირბილაძე, თბილმრეწვაჭრობის № 84 მაღაზიის გამგე ე. შირიაევა-ახნაზაროვა, თბილისის გასტრონომის № 10 მაღაზიის გამყიდველი ე. ზამულენკო და სხვები. მაგრამ პარტიული ორგანიზაციები, აგიტატორები სუსტად ეწევიან ვაჭრობის მოწინავე მუშაკთა საქმიანობის პოპულარიზაციას, მათი გამოცდილების პროპაგანდას.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში თვითდინებაზეა მინდობილი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ხშირ შემთხვევაში აგიტატორები ცოცხალი, ორმაშინაარსიანი, საინტერესო საუბრების მოწყობის ნაცვლად მხოლოდ გაზეთების წაკითხვით კმაყოფილდებიან. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია ფორმალიზმი კალინინის რაიონის თბილკვებვაჭრობის ქსელის პარტორგანიზაციაში. ამ პარტორგანიზაციამ აგიტატორებად გამოჰყო სავაჭრო კიოსკების გამყიდველები, რომლებიც სინამდვილეში ამ კიოსკების ერთადერთ მუშაკებად ითვლებიან. საინტერესოა, ვისთან უნდა გასწიონ მათ პოლიტიკური აგიტაცია, თავის თავთან ხომ არა!

დიდია ნაკლოვანებანი სალექციო პროპაგანდაში. სავაჭრო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობაში თვეობით არ ეწყობა ლექცია და პოლიტიკური მოხსენება. კომუნისტებს არარეგულარულად განუმარტავენ პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბევრი კომუნისტი სუსტად იცნობს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების შესახებ, ცუდად ერკვევა მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ პარტიული მუშაობის საბოლოო მიზანს სამეურნეო მაჩვენებლების გაუმჯობესება უნდა შეადგენდეს. ამ მიზანს უნდა დავუმორჩილოთ და აქეთკენ უნდა იყოს წარმართული პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა. პარტიული მუშაობის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ სწორად, უნარიანად შევახამოთ პოლიტიკა მეურნეობასთან.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ისე აღზარდონ ვაჭრობის მუშაკები, რომ თვითეული მათგანი თავის სამუშაო უბანზე აქტიურად ახორციელებდეს პარტიის პოლიტიკას. მაგრამ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ დგას ახალი ამოცანების დონეზე, სუსტად არის დაკავშირებული მასებთან, არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ვაჭრობის მუშაკების პოლიტიკურ სწავლებას, ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია საჭირო ბრძოლისუნარიანობა, პრინციპულობა და ყოველივე ამის შედეგად ზოგჯერ ადმინისტრაციული აპარატის დანამატად არის გადაქცეული.

მნიშვნელოვანწილად პარტიული მუშაობის სუსტად დაყენებით აიხსნება ის, რომ მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციები, როგორც მაგალითად, თბილმრეწვაჭრობა, თბილისის უნივერმაღი, თბილუნივერვაჭრობა, თბილისის მარჯვენა ნაპირის სასადილოების ტრესტი, თბილკოოპვაჭრობა, თბილისის რაისამომხმარებლო კავშირი და სხვები, ვერ ასრულებენ საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმებს. ცუდად მუშაობენ საზოგადოებრივი კვების საწარმოები. არსებითად არ არის გაუმჯობესებული ხილბოსტნეულით ვაჭრობა. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ვაჭრობის მუშაკთა კადრების შერჩევა და განაწილება. კვლავ დიდია სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისა და დატაცების, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 15 სექტემბრამდე სავაჭრო საწარმოებში გამოვლინებულ იქნა მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცების 29 შემთხვევა, რაც ასეულ ათასობით მანეთს შეადგენს. ამ ბოროტების უმთავრესი მიზეზია ის, რომ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები ძალიან ცუდად ახორციელებენ კონტროლს სავაჭრო საწარმოების მუშაობისადმი. კიდევ მეტი, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევებთან პრინციპული, გადამწყვეტი ბრძოლის ნაცვლად თავს არიდებს და სათანადო ზომებს არ იღებს მომხმარებლის მომტყუებელთა წინააღმდეგ.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის მარჯვენა ნაპირის სასადილოების ტრესტის კიროვის რაიონის ქსელის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ა. ხაჩატუროვი). აგვისტოში პარტორგანიზაციამ გამოჰყო კომისია მომხმარებელთა საჩივრ მომსახურების და საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობის შესამოწმებლად. კომისიამ გამოავლინა მომხმარებელთა ანგარიშსა და წონაში მოტყუების მთელი რიგი ფაქტები № 40 საჩაიეში და № 17 სასაუზმეში. მაგრამ საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევის ეს ფაქტები აქამდე არ გამხდარა პარტიული კრების მსჯელობის საგანი.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის მარტის დადგენილება „საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. საზოგადოებრივი კვების მუშაკთა უპირველესი ამოცანაა მოამზადონ მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი კერძები, ყოველდღიურად გააუმჯობესონ მომხმარებელთა მომსახურება. მაგრამ საზოგადოებრივი კვების ბევრი საწარმო ჯერ კიდევ ცუდად ემსახურება მშრომელებს. ავტომემკეთებელი ქარხნის № 77 სასადილოში საკმაო რაოდენობით არა აქვთ რძისა და საკონდიტრო ნაწარმი. კერძები ხშირად უგემური, დაბალხარისხოვანია, რის გამო არაერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი გულისწყრომა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს. თბილისის მარცხენა ნაპირის სასადილოების ტრესტის ხელმძღვანელები ოპერატიულ ზომებს არ იღებენ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. და ეს იმიტომ, რომ ტრესტის მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშათა სასადილოების მუშაობას. მომავალში ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია.

სერიოზული ნაკლოვანებებია ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობაში. ბაზრებზე გაჩაღებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის თაღაშვებული სპეკულაცია. მარტო უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში საკოლმეურნეო ბაზრებზე აღრიცხულია 680 კაცი, რომლებიც სისტემატურ სპეკულაციას ეწევიან. მაგრამ სპეკულანტების წინააღმდეგ არც ბაზრების დირექტორები, არც პარტიული ორგანიზაციები და არც მილიციის ორგანოები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ.

საბჭოთა ვაჭრობის ძირეული გაუმჯობესებისათვის აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას კადრების სწორი შერჩევა და განაწილება. სავაჭრო ორგანიზაციებში მუშაობენ სულ სხვადასხვა პროფესიისა და კვალიფიკაციის ადამიანები, რომელთაგან ბევრს არაფერი საერთო არა აქვს საბჭოთა ვაჭრობასთან. ამავე დროს კი დიდი ხანია სამუშაოზე არ არიან მოწყობილი ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთაც უმაღლესი სავაჭრო განათლება აქვთ მიღებული. დღემდე ცუდად არის გამოყენებული სავაჭრო ქსელში ქალთა შრომა. ამაში დამნაშავენი არიან არა მარტო სავაჭრო საწარმოთა ხელმძღვანელები, არამედ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიკომები და საქალაქო კომიტეტი, რომლებიც სუსტად აბამენ ქალებს საბჭოთა ვაჭრობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ პარტიის ლენინის, 26 კომისრის, კალინინის და ორჯონიკიძის რაიკომები.

მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოაშკარავებას დიდად შეუწყო ხელი ქალაქ თბილისის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა. კრებაზე აღინიშნა, რომ თბილისის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ცუდად ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს ვაჭრობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ, არასაკმაოდ ზრუნავენ მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, სუსტად უწევენ კონტროლს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქმიანობას. აქტივის კრების შემდეგ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს მუშაობა გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, კულტურული ვაჭრობის მოსაწყობად, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გონივრულად განსალაგებლად. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია.

ვაჭრობაში ბოლშევიკური წესრიგის დასამყარებლად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა ფართო მონაწილეობა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი ყოველდღიური კონტროლის განხორციელებაში.

პარტიის XX ყრილობამ საბჭოთა ვაჭრობის მუშაკების წინაშე დიდი ამოცანები დასახა. დედაქალაქის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კომუნისტები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუცხრომლად უნდა იმუშაონ საბჭოთა ვაჭრობის გაუმჯობესებისა და განვითარების საკითხებზე, ფართოდ გაიაზონ სოციალისტური შეჯიბრება მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის.

უნგრეთში კონტრრევოლუციური ბანდების საშინელ დანაშაულობათა ახალი მხილებანი

დახედეთ ამ შემაძრწუნებელ ფოტოსურათს! ეს რას სჩადიოდნენ ფაშისტი ჯალათები უნგრეთში თეთრი ტერორის თარეშის დღეებში. ის, რაც ფოტოაპარატის ობიექტივს ალუბეჭდავს, მოხდა ბუდაპეშტში უნგრეთის მშრომელთა პარტიის ერთ-ერთ შენობაში, რომელიც კონტრრევოლუციამ დაარბია. იატაკზეა გვამი კომუნისტისა, რომელიც სახალხო



ხელისუფლებას იცავდა. გამხეცებული ბანდიტები დიდხანს აწამებდნენ თავიანთ მსხვერპლს, რასაც მოწმობს სისხლის ლაქები კედელზე. შემდეგ ფაშისტ ბანდიტებს პირში ხიშტი ჩაურჭვიათ ნაწამები კომუნისტისათვის და თავი იატაკზე მიუღურსმიათ. წამებულისათვის ხელში ჩაუდვიათ ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

ეს ფოტოსურათი ამოღებულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოდან — გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან". 6 ნოემბერს გაზეთმა გამოაქვეყნა რამდენიმე ფოტოსურათი, რომლებიც მთელი მსოფლიოს წინაშე ამხილებენ უნგრეთში ფაშისტ ბანდიტთა მიერ ჩადენილ საზარელ ბოროტმოქმედებებს.

გაზეთში მოთავსებულ ფოტოსურათებს შორის ჩვენ ვხედავთ სურათს, სადაც გამოხატული არიან ბანდიტები, რომლებსაც ადამიანის სახე დაუკარგავთ. მათ საავადმყოფოდან გამოუთრევიათ დაჭრილი უნგრელი ლეიტენანტი და თავდაღმა დაუკიდიათ ხეზე. სხვა სურათებზე ვხედავთ, თუ როგორ ჩამოუხსნიათ ხიდან ეს დაფლეთილი და ნაწამები ოფიცერი, გაუთელავთ და ჩამოუკიდიათ ღვედით. წამებულის სახე სისხლიან ნიღბად არის ქცეული. სხეულის ზედა ნაწილი დასახჩრობილია. იქვე დგანან მისი ჯალათები, თამბაქოს ეწევიან და იღიმებიან.

გვერდით კიდევ ერთი ფოტოსურათია. მასზე ასახულია ახალი მსხვერპლი. ბანდიტებს სახალხო პოლიციის ეს მებრძოლი იმიტომ მოუკლავთ, რომ იგი მამაცურად იცავდა კონტრრევოლუციისაგან მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ფაშისტებს მოკლულის მკერდზე დაუდვიათ ჟურნალი „კომუნისტი".

გამოთქვამს რა ყველა პატიოსანი გერმანელის — მუშების, გლეხების, ხალხის საქმეს ერთგული ინტელიგენციის აზრებსა და გრძნობებს, „ნოიეს დოიჩლანდი" წერს:

„ტეროროი უნგრეთის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, უნგრეთის მუშათა კლასის ერთგული მებრძოლებისა და აქტივისტების მკვლელობანი, უნგრეთის მშრომელთა პარტიის სახლებისა და შენობების დანგრევა და დაწვა— ასეთი იყო უნგრეთის რეაქციის, ჯალათთა და ჩამომხრჩობთა პროგრამა 13 დღის განმავლობაში.

უნგრეთში მოქმედებდნენ იგივე ძალები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით გერმანიაში როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობაში, ერნსტ ტელმანის და რუდოლფ ბრაიტშაიდის მკვლელობაში, ათასობით მუშის — აქტივისტებისა და ანტიფაშისტების მკვლელობაში.

ძალმომრეობათა სისხლიან რეჟიმს ბოლო მოუღეს უნგრელმა მუშებმა და გლეხებმა, უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ".

გამხეცებულმა ბანდიტებმა, რომლებსაც საერთაშორისო რეაქცია ხელმძღვანელობდა, ვერ წაართვეს უნგრელ ხალხს მისი სოციალისტური მონაპოვარნი. სახალხო უნგრეთის ნამდვილი პატრიოტები აღდგნენ სახალხო-დემოკრატიული წყობილების დასაცავად, სოციალიზმის დასაცავად. სოციალიზმის საქმე უძლეველია. სახალხო უნგრეთი იცოცხლებს.

(„პრავდა", 10 ნოემბერი).

ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის სიტყვა

ᲙᲐᲘᲠᲝ, 10 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ „ალ-აზჰარის" მეჩეთში სიტყვა წარმოთქვა ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა.

დღეს, თქვა მან, წყდება არა მარტო ეგვიპტის ბედი, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს, მთელი კაცობრიობის ბედი. მთელი მსოფლიოსათვის, კაცობრიობისათვის შეიქმნა საშიშროებით აღსავსე მდგომარეობა. ეკითხება თუ არა ეგვიპტეს პასუხისმგებლობა ამისათვის? პასუხისმგებელია თუ არა ჩვენი ქვეყანა იმისათვის, რასაც დღეს კაცობრიობა განიცდის?

ეგვიპტეს არაერთხელ განუცხადებია, რომ მისი პოლიტიკა ამოცანად ისახავს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და მშვიდობის უზრუნველყოფას. გამოვდიოდი რა თქვენი სახელით, მე მუდამ და ყველგან მოვუწოდებდი მშვიდობისაკენ. მაგრამ ჩვენ ამავე დროს მოვუწოდებდით ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისაკენ. ამით გამოიხატება განსხვავება ზავსა და კაპიტულაციას შორის. ჩვენ ვაცხადებთ, რომ გვსურს ვიყოთ თავისუფალნი, პატივცემულნი ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ ეგვიპტე აბორიგენებს დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომ ჩვენ არა გვსურს კუდში მიჭაანჩალებდეთ ვინმეს, რომ ჩვენ არა გვსურს ვიყოთ დამოკიდებული ვინმეზე და არა გვსურს ვიღებდეთ ბრძანებებს ლონდონიდან. ჩვენ ვესწრაფოდით თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და ღირსეულ ცხოვრებას, მაგრამ ამავე დროს ვიბრძოდით მშვიდობისათვის. მაშასადამე, გვეკისრება თუ არა ჩვენ პასუხისმგებლობა მშვიდობისადმი შექმნილი საფრთხისათვის?

ეგვიპტე ახალგაზრდა ქვეყანაა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ გაიღვიძა და ეწევა თავისი ცხოვრების გარდაქმნას, ეწევა მშენებლობას, რათა დაიცვას და უზრუნველყოს თავისი ერთიანობა. პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პატივმოყვარე მოღვაწეებს, რომლებიც ცდილობდნენ დავემორჩილებინეთ, გადაექციეთ თავიანთ კოლონიად, თავიანთ საკუთრებად, ვიძალებინეთ დავემორჩილებოდით მათს ბრძანებებს, ხელი აგვეღო დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებაზე, დაგვეთმო საკუთარი ღირსება.

ვინ ქმნიდა მსოფლიოს მოსპობის საფრთხეს? განა არა ეგოისტი კოლონიზატორები? განა არა ომის გამჩაღებლები, რომლებიც ცდილობენ დაიმონონ ხალხები?

სწორედ ისინი ემუქრებოდნენ მსოფლიოს ახალი ომით, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა კაცობრიობის მოსპობა. პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრესორებს, რომლებიც შემოიჭრნენ ჩვენს მიწაწყალზე და თავს დაგვესხნენ.

შემდეგ ნასერმა აღნიშნა, რომ თვითეული ეგვიპტელი მზად არის ებრძოლოს და არაა საღდეს არ დათანხმდება დანებდეს. ნასერმა დაახასიათა შეთქმულება, რომელიც მოამზადეს ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა, რათა მოესპოთ ეგვიპტის არმია, განეხორციელებინათ ეგვიპტის ჯარის ნაწილების იზოლაცია სინას ნახევარკუნძულზე და, ამით, მოემზადებინათ სუეცის არხის ოკუპაცია. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ შეძლო ეგვიპტემ აღმოეჩინა და გაეუვნებლებინა ეს შეთქმულება, გადაეკვანა თავისი შეიარაღებული ძალები სუეცის არხის დასავლეთით.

ილაპარაკა რა ინგლისისა და საფრანგეთის თავდასხმის შესახებ პორტ-საიდზე, ნასერმა განაცხადა, რომ ეს ორი სახელმწიფო ვარაუდობდა 24 საათში დაეპყრო ეგვიპტე. მაგრამ აგრესორებს გზა გადაუღობეს ეგვიპტელმა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც იბრძოდნენ თავგანწირულად და შეუდრეკლად, სირცხვილს სოკვდილი ერჩიენთ. პორტ-საიდი, თქვა ნასერმა, არ დანებდა, არამედ იბრძოდა, თავისი მკერდით იცავდა მთელ ეგვიპტეს. პორტ-საიდმა გასწირა თავი ეგვიპტისათვის, მან შეძლო ჩაეფუშა იმპერიალისტთა გეგმები, და ინგლისის სამხედრო მინისტრი, რომელიც აცხადებდა, რომ ეგვიპტე ოკუპირებული იქნება 24 საათის განმავლობაში, იძულებული იყო გუშინ ეღიარებინა, რომ პორტ-საიდის დამცველთა ბრძოლა გრძელდება. პორტ-საიდმა დამპყრობლებს უჩვენა, რომ მთელი ეგვიპტე თავგანწირვით იბრძოლებს.

შემდეგ პრეზიდენტი შეეხო პოზიციას, რომელიც უკავიათ არაბთა ქვეყნებს, და მტრის პროპაგანდის ცდებს განხეთქილება და არევ-დარევა შეიტანონ არაბთა რიგებში.

სუდის არაბეთის მეფემ და იორდანიის მეფემ, აგრეთვე სირიის პრეზიდენტმა, განაცხადა ნასერმა, თავიანთი შეიარაღებული ძალები გადასცეს ეგვიპტის განკარგულებაში. მაგრამ ეგვიპტე ცდილობდა თავიდან აეცილებინა ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოება და არ დაეშვა ახალი ფრონტების შექმნა. ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბი ხალხების სოლიდარობა და ერთიანობა განმტკიცდა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის შედეგად.

ეგვიპტის მხარეზეა, თქვა ნასერმა, დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა, ინგლისის, საფრანგეთის, ისრაელისა და ავსტრალიელი მენზისის გარდა. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ადამიანები თვით ინგლისსა და საფრანგეთში გამოდიან ვერაგული აგრესიის წინააღმდეგ, ომის გამჩაღებლებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ილაპარაკა რა ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების როლზე ომში, ნასერმა დასცინა მტრის პროპაგანდის მიერ გავრცელებულ ხმებს, რომ ეგვიპტის ავიაცია თითქოს მოსპობილია. მან განაცხადა, რომ ეს მონაჰყორი არ შეესაბამება სინამდვილეს. როდესაც მტრის ავიაცია ბომბავდა ეგვიპტის აეროდრომებს, იგი ბომბავდა თვითმფრინავთა ხის მაკეტებს. თვით ინგლისის სამხედრო მინისტრს უცნაურად მიაჩნია ის გარემოება, რომ ეგვიპტის ბომბდამშენთა ყოველგვარი ძებნა უშედეგო აღმოჩნდა. ეგვიპტის ავიაცია კვლავ გამოჩნდა ცაში გუშინწინ, პორტ-საიდისათვის ბრძოლის დროს.

დაახასიათა რა ეგვიპტის სამხედრო-საზღვაო ძალების როლი, ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტის სამხედრო ხომალდები დიდი გმირობით და თავგანწირვით ეწეოდნენ ოპერაციებს ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტების წინააღმდეგ.

შემდეგ პრეზიდენტი შეეხო ცეცლის შეწყვეტის საკითხს. ეგვიპტე, განაცხადა მან, დათანხმდა ცეცლის შეწყვეტაზე, რომდენადაც მთელმა მსოფლიომ დაგმო ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესია, აგრეთვე იმიტომ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება ცეცლის შეწყვეტის შესახებ.

ნასერმა თქვა, რომ მან მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ეიზენჰაუერს და სთხოვა დაეზუსტოს ამერიკის პოზიცია.

შემდეგ ნასერმა განაცხადა, რომ ამჟამად ეგვიპტეში არის ორი ფრონტი — სამხედრო და პოლიტიკური. ეგვიპტე, ხაზგასმით აღნიშნა ნასერმა, არ დათანხმდება არიფერზე, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის სუვერენიტეტს, ღირსებასა და დამოუკიდებლობას. პოლიტიკურ ფრონტზე ეგვიპტე გამოიჩენს დიდ სიფრთხილეს, რათა არ გახდეს მოტყუებისა და ვერაგობის მსხვერპლი მას შემდეგ, რაც იმპერიალისტებმა ვერ შეძლეს იარაღის ძალით დაემორჩილებინათ იგი. ჩვენ მზადა ვართ ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი წამოწყებებს პოლიტიკურ ფრონტზე. მაგრამ ჩვენ უკვე ვაცხადებთ, ხაზგასმით აღნიშნა ნასერმა, რომ მანამდე, სანამ თუნდაც ერთი უცხოელი ჯარისკაცი დარჩება ეგვიპტის მიწაწყალზე, ჩვენ არ დავიწყებთ სუეცის არხის აღდგენასა და გაწმენდას (ჩაძირული ხომალდებისაგან. — კორესპ. შენიშვნა), რადგან ეს გაელენას მოახდენდა ჩვენს თავდაცვაზე.

დღეს, თქვა ნასერმა, ჩვენ კვლავ ვადგავართ მტკიცე გადაწყვეტილებას. ჩვენ ვესწრაფვით მშვიდობას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მზადა ვართ დავნებდეთ. ჩვენი ლოზუნგია ერთიანობა, ძალა, შრომა, სიმტკიცე, ბრძოლა და ჯიჰადი (წმინდა ბრძოლა თავისი უფლებებისათვის. — კორესპ. შენიშვნა). მთელი მსოფლიოს ხალხები მხარს გვიჭერენ ჩვენ.

პრეზიდენტ ნასერის სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით და ოვაციით.

საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში

ᲗᲠᲘᲛᲤᲝᲜᲣᲚᲘ ᲨᲘᲒᲚᲘᲗᲝᲕᲙᲐ

დელისის იპოდრომზე ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1956 წლის პირადგუნდური პირველობის გათამაშება ცხენოსნობაში. შეჯიბრება მიეძღვნა ახალგაზრდობის ფესტივალს.

პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ სოხუმის, გუდაუთის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ფოთის, აბაშის, სიღნაღის, ქობულეთისა და სხვა გუნდები. ასპარეზობაში კონკურსგარეშე მონაწილეობა მიიღო სომხეთის სსრ ცხენოსანთა ნაკრებმა კოლექტივმა, რამაც კიდევ უფრო საინტერესო გახადა შეჯიბრება.

სამჭიდში (სამანეიო სვლა, საველე გამოცდა, რთული კლასის დაბრკოლებათა გადალახვა) გაიმარჯვა თბილისელმა აფციაურმა. გუნდურ ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა გუდაუთის ცხენოსანთა კოლექტივმა. დოლში 1.500 და 3.000 მეტრზე უძლიერესები იყვნენ გაშბაიაზოვი (თბილისი) და ხასია (ზუგდიდი). დოლში 4 კილომეტრზე დაბრკოლებებით გაიმარჯვა სოხუმელმა ხაინდრავამ.

უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში პირველი ადგილი დაიკავა ნილოვმა (სოხუმი), ჩეხვაში — ჩუაზმა (გუდაუთა). დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ უმაღლესი და რთული კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში „საქართველოს თასზე". უმაღლეს კლასში გაიმარჯვა გუმბამ (გუდაუთა), რთულ კლასში — ჯგერენაიამ (ზუგდიდი). გუნდურ ასპარეზობაში თასი მოიპოვა სოხუმის სპორტსმენთა კოლექტივმა.

ისინდსა და ცხენბურთში ჩემპიონი გახდა ცხაკაიას რაიონის გუნდი. მარულაში 8 და 10 კილომეტრზე პირველი ადგილი დაიკავეს ფხოველიშვილმა (სიღნაღი) და ნილოვმა (სოხუმი).

საერთო გუნდური პირველი ადგილი და საქართველოს ჩემპიონის წოდება ცხენოსნობაში მოიპოვა გუდაუთის ცხენოსანთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ზუგდიდის გუნდი, მესამეზე — სოხუმის გუნდი.

ასპარეზობაში კონკურსგარეშე მონაწილე სომხეთის სსრ ცხენოსნებმა მაღალი სპორტული შედეგები აჩვენეს.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზევით — ცხაკაიას და გუდაუთის რაიონების ცხენბურთელთა ფინალური შეჯიბრება; ქვევით — რთული კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში გამარჯვებული ჯგერენაია (ზუგდიდი).

სსრ კავშირის პირველობაზე

11 ნოემბერს გაიმართა „ბ" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი შეხვედრები. თბილისში თამაშობდნენ ქ. მოლოტოვისა და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდები.

პირველი ტაიმი დამთავრდა ოფიცერთა სახლის გუნდის სასარგებლოდ 1:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ფ. მოლოტოვის ფეხბურთელები აქტიურად იბრძოდნენ. მე-16 წუთზე მათ ისარგებლეს მოწინააღმდეგის კარის დამცველთა შეცდომით და ანგარიში გაათანაბრეს. მაგრამ 38-ე წუთზე სტუმართა კარში გადამწყვეტი ბურთი აღმოჩნდა, რომელიც მარჯვენა გარემარბმა ბაბაევმა გაიტანა. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

უბედურ შემთხვევათა აღსაკვეთად

საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციამ თავის ორგანოებს და ავტოსატრანსპორტო მეურნეობების მუშაკებს მისცა მითითებები იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შესულია მთავრობის დადგენილება ავტოტრანსპორტის მძღოლთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ავტოინსპექციის მუშაკებს ეკალებათ ყველა მძღოლი, რომელიც ავტომანქანის მართვისას არაფიზიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ გადმოსხან მანქანიდან და ერთი წლით ჩამოართვან ავტომანქანის მართვის უფლება.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

უნგრეთის დეპეშათა საგენტოს ცნობა

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 10 ნოემბერი. (საკდესი). უნგრეთის დეპეშათა საგენტომ 9 ნოემბერს გამოაცხადა:

1956 წლის 4 ნოემბერს უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ მიიღო ღონისძიებანი, რათა დროებით შეწყდეს დასავლეთი ქვეყნებიდან წითელი ჯვრის ორგანიზაციების ამანათების მიღება, რომლებსაც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე გზავნიან.

მთავრობა იძულებული გახდა გადაედგა ეს ნაბიჯი იმ ფაქტის გამო, რომ იმ ტვირთების შემოწმებისას, რომლებიც მოვიდა 2 ნოემბერს (30 თვითმფრინავი) და 3 ნოემბერს (70 თვითმფრინავი), აღმოჩნდა, რომ წითელი ჯვრის მიერ გამოგზავნილი ტვირთები, რომლებზეც აღნიშნული იყო „მედიკამენტები", ნაწილობრივ შეიცავდნენ იარაღს. აგრეთვე აღმოჩნდა რომ იმ პირთა ნაწილი, რომლებიც ამ ტვირთებს ახლდნენ როგორც წითელი ჯვრის პერსონალი, წარსულში იყო ჰორტის არმიისა და ჟანდარმერიის ფაშისტი ოფიცრები, რომლებიც წინათ დასავლეთ გერმანიაში ემყოფებოდნენ.

უნგრეთის მთავრობას არა ჰქონია შესაძლებლობა გამოერკვია, თუ როგორ აღმოჩნდნენ ეს კონტრრევოლუციური ელემენტები წითელი ჯვრის თანმხლები პერსონალის რიცხვში და როგორ მოხვდა იარაღი მედიკამენტების რიცხვში, მაგრამ ასეთ პირობებში მთავრობა იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა წითელი ჯვრის ამანათების მიღება დასავლეთ ევროპიდან, რადგან იმ მოქმედებაში ჩაღდებოდა შეიარაღებული კონტრრევოლუციური თავდასხმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მთავრობისა და კანონიერი წესწყობილების დამხობის მიზნით.

უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობა მადლობას უძღვნის წითელ ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციას მედიკამენტების გამოგზავნისათვის, რომლებიც უნგრეთს ნამდვილად ესაჭიროება.

ამის შესაბამისად მთავრობა დაუყოვნებლივ და ხალისით დათანხმდა მიიღოს წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წინადადება, მიღებული 1956 წლის 8 ნოემბერს ბუდაპეშტში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩის მეშვეობით, რომლის თანახმად ამანათები უნგრეთში უნდა მოდიოდეს იუგოსლავიით. უნგრეთის მთავრობას ეს მიაჩნია იმის გარანტიად, რომ წითელ ჯვრის ამანათებით ზემოაღნიშნული ბოროტმოქმედება აღარ გამეორდება.

მდგომარეობა უნგრეთში

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 11 ნოემბერი. (საკდესი). ბუდაპეშტი იწყებს ნორმალურ ცხოვრებას. ქუჩებსა და მოედნებს წმენდენ ხერგისაგან, რომელიც წარმოიშვა სახლების დანგრევისა და დაწვისაგან სულ უფრო ხშირია ქუჩებში ავტომობილები და ქვეითები. დღეს ბუდაპეშტში გაიხსნა თითქმის ყველა სასურსათო მაღაზია. ბევრ სამრეწველო საწარმოში მუშებსა და მოსამსახურეებს ორგანიზებული წესით ამარაგებენ სურსათით.

გამოცოცხლდა რკინიგზის ტრანსპორტი. დღეიდან მოგვარებულია რკინიგზის სამგზავრო მიმოსვლა ბუდაპეშტსა და დიერსა, ცეგლედსა, ესტერგომსა და სხვა ქალაქებს შორის.

დღითიდღე უმჯობესდება სურსათის მდგომარეობა ბუდაპეშტში. მუშაობა დაიწყეს ქალაქის სასაკლაოებმა. ქალაქ დებრეცენიდან, აგრეთვე შომოდის, ბაჩის, ზალისა და სხვა ოლქებიდან ბუდაპეშტში მოდიან ძროხა, ბოსტნეულით, კარტოფილითა და სხვა პროდუქტებით დატვირთული ავტოკოლონები. დიდძალი საქონელი და სურსათი დაგროვდა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრებზე. ზახონიდან ბუდაპეშტსა და უნგრეთის სხვა ქალაქებში გაგზავნას ელოდება 89 ვაგონი შაქარი, ხუთი ვაგონი ფქვილი, 47 ვაგონი ხორცი, 87 ვაგონი ცემენტი და სხვ. ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე დგას 2 ათასი ვაგონი ქვანახშირი და 350 ვაგონი სურსათი. დიდძალი სამრეწველო საქონელი და მედიკამენტები გიგზავნა უნგრეთში ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან.

უნგრელი მშრომელები მადლობით იღებენ მომმე სოციალისტური ქვეყნების ამ მეგობრულ დახმარებას.

მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობა აფართოებს თავის საქმიანობას ყველა პატიოსანი მშრომელის სრული და აქტიური მხარდაჭერით. მთავრობამ განკარგულება გასცა 1957 წლის 1 იანვრიდან 12-15 პროცენტით გაუდიდონ ხელფასი იმათ, ვინც თვეში იღებს 1.200-მდე ფორინტს, და 8-10 პროცენტით იმათ, ვინც 1.500-მდე ფორინტს იღებს.

დღეს ბუდაპეშტის რადიოთი უნგრეთის მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობის ახალი სპიკერი განცხადება გააკეთა პრეზიდენტ-მინისტრმა იანოშ კადარმა.

იანოშ კადარმა მიმართა მუშებს, გლეხებს, მშრომელებს, ინტელიგენციას, ყველა თანამემამულეს და ჩამოაყალიბა მთავრობის თვალსაზრისი ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. მან აღნიშნა, რომ, ძირითადად ბუდაპეშტსა და პროვინციაში შეიარაღებული აჯანყება ლიკვიდირებულია. პროვინციაში ყველგან იწყებენ მუშაობას. საწარმოებისა და შახტების მეტ ნაწილში მუშაობა უკვე დაიწყო. ბუდაპეშტში მდგომარეობა ნაკლებ ხელსაყრელია. რამდენიმე ათასი მუშა გამოვიდა სამუშაოდ ვაგონშშენებელ ქარხანა „ანგში", ბელოიანისის სახელობის ქარხანაში, მავაგში, მაგრამ ბუდაპეშტი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება პროვინციას. უნგრეთში აღდგენილია კანონიერი წესრიგი, რამდენიმე სოფელს გარდა კომარომის ოლქში.

რამდენიმე დღის შემდეგ ბუდაპეშტში მდგომარეობა საგსებით ნორმალიზებული იქნება. ახლა, თქვა პრემიერ-მინისტრმა, ჩვენს წინაშე დასახულია შემდეგი ძირითადი ამოცანები: უნგრეთის საზღვრებზე მნიშვნელოვანი რაოდენობით დაგროვდა ტვირთები სურსათით და მედიკამენტებით, რომლებიც მოდის მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან. ამავე დროს ბუდაპეშტის მოსახლეობა მრავალ სიძნელეს განიცდის მომარაგებაში. ბევრი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. უდიდესი მოცდენის გამო საწარმოებს მოელით უსათბობოდ დარჩენის საფრთხე. იგივე საფრთხე ემუქრება დიასახლისებსაც.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა გააკეთა უნგრეთში უკანასკნელი პერიოდის ამბების მიმოხილვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ გადაწყვიტა გენერალური ასამბლეის XI მორიგი სესიის (რომელიც 12 ნოემბერს იხსნება) დღის წესრიგში შეიტანოს საკითხი „კრიზისი შუა აღმოსავლეთში, რომელიც გამოიწვია ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის თავდასხმამ ეგვიპტეზე". 66 ხმით გადაწყდა ეს საკითხი დღის წესრიგში შეტანილ იქნას, როგორც „პირველი რიგის საკითხი". ორმა დელეგაციამ (საბერძნეთი და გვატემალა) თავი შეიკავა.

შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ 53 ხმით გადაწყვიტა შეიტანოს ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი" გენერალური ასამბლეის XI სესიის დღის წესრიგში. 9 დელეგაციამ, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, ხმა მისცა ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ. 8 დელეგაციამ თავი შეიკავა.

დ. Შ. ᲨᲔᲙᲘᲚᲝᲕᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 ნოემბერი. (საკდესი). 10 ნოემბრს საღამოს ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-11 სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი.

გენერალური ასამბლეის მე-11 სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ აგრეთვე უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. თ. პალამარჩუკი და ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური, ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი.

Д Е Л И Ს

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — გიორგაძეული ზარეჩნაიის ყუჩაზე, **კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი** — „მართლმსაჯულება", **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი, დიდუბე, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ადამიანი დაიბადა, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — ჯუზეპე ვერდი, **ისანი** — ბორანი, **26 კომისრის სახელობის**—მემკვიდრე, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — საკუთარი ხელით, **ქრონიკა** — რომში; ალასფერი ყვავილი.

დედა ზინა, და თინა, ძმა გუგული, სიძე შ. სალამაძე, რძალი ლიანა ოჯახებით იუწყებიან

ანდრო ალექსანდრეს-ძე მალრაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-XI, 8 ს. გამოსვენება 15-XI, 4 ს. ჩხიკვაძის ქ. № 20 (ლენინის რაიონი).

მეუღლე მარო, შვილები ეუეუნა, თენგიზ, ბეგი, ძმა შალვა, დები ვალენტინა, სონია, თამარ, ლუბა, რძლები ლამარა, ვენერა, სიძეები ლ. ლაცაბიძე, ნ. ახობაძე, ა. თევზაძე, ი. ციციშვილი, ნ. გეგელაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ბაგრატ რომანოზის-ძე ბაკურაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-XI, 7 ს. გამოსვენება 15-XI, 4 ს. ფალიაშვილის ქ. № 79.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყვარლის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან

ვახტანგ მიხეილის-ძე მახოშვილის

გარდაცვალებას.

მეუღლე მარიამ, შვილები ვენერა, რომან, ქსენია, რეზო, ქეთო, და დარო, რძლები მარიამ, ეკატერინე, სიძეები შ. ტაბატაძე, შ. ლომაშვილი, ი. გამეზარდაშვილი ოჯახებით იუწყებიან

სანდრო შიოს-ძე ქიმერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-XI ხაშურში. გამოსვენება ბინიდან, სპორტის ქ. № 39.

ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. ჰიგიენის კათედრის ასისტენტი — 1,0 ჰიგიენაში, 0,5 პარაზიტოლოგიაში.
2. ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის ასისტენტი — 1,0 ეპიდემიოლოგიაში, 0,5 მიკრობიოლოგიაში.
3. პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტი — 1,0.
4. რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კათედრის ასისტენტი — 2.
5. I ქირურგიის კათედრის ასისტენტი — 2,0.
6. II ქირურგიის კათედრის ასისტენტი — 1,0.
7. უროლოგიის კათედრის ასისტენტი — 0,5.
8. I თერაპიის კათედრის ასისტენტი — 2.
9. II თერაპიის კათედრის ასისტენტი — 2.
10. კეთრორტოლოგიის კათედრის დოცენტი — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0.
11. მეან-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტი — 2.
12. პედიატრიის კათედრის ასისტენტი — 1.
13. ნევროპათოლოგიის კათედრის ასისტენტი — 0,5.
14. ნეიროქირურგიის კათედრის ასისტენტი — 1,0.
15. ონკოლოგიის კათედრის ასისტენტი — 1,5.
16. თვალის სნეულებათა კათედრის ასისტენტი — 1.
17. ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის ასისტენტი — 1.
18. ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ასისტენტი — 1.
19. სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტი — 2.

კონკურსში მონაწილეობის მსურველ